- ახალი ჰიპოთეზების შემუშავება არსებული და/ან ახალი ხედვების, მიდგომების და ემპირიული მონაცემების გადამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე;
- ფუნდამენტური და ემპირიული კვლევის პროცესში ჰიპოთეზების შემოწმება სანდო და ვალიდური მეთოდებისა და მეცნიერულად გამართული არგუმენტების გამოყენებით;
- პოზიტიური ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე დარგების სხვადასხვა ასპექტის შესახებ კომპლექსური და წინააღმდეგობრივი მონაცემებისა და მიდგომების გაანალიზება, ინტერპრეტირება და სათანადო დასკვნების გამოტანა გადაჭარბებული გენერალიზაციის გარეშე;
- რთული სამეცნიერო პრობლემების ახლებური გააზრება და მოგვარება;
- პრობლემის კვლევისა და განხილვის შედაგად მიღებული შედეგების ახლებურად გააზრება, რითაც წვლილი შეაქვს პოზიტიური ფსიქოლოგიის განვითარებაში.

კომუნიკაციის უნარი:

- ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;
- მშობლიურ და ინგლისურ ენაზე ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, უცხოელ კოლეგებთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა;
- სამეცნიერო მოხსენებებისა და პრეზენტაციების მომზადება, როგორც სპეციალისტებისთვის ისევე ფართო აუდიტორიისათვის;
- დისკუსიის წარმართვა;

სწავლის უნარი:

- სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;
- პოზიტიური ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების გენერირება სწავლის, პრაქტიკული საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში;
- დროისა და რესურსების ეფექტური მართვა;
- პროფესიული და აკადემიური კარიერის გაუმჯობესების მიზნით, საკუთარი უნარების თვითგანვითარება და ცოდნის გაფართოვება.

ღირებულებები:

- პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში კვლევისა და პრაქტიკისთვის რელევანტური ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა

და ახლებური მეთოდების მოძიება-შემუშავება; პროფესიული და კვლევის ეთიკური ნორმების (კონფიდენციალობა, ანონიმურობა, ინფორმირებული თანხმობა, პლაგიატის არიდება) დაცვა; • სხვადასხვა ადამიანის შეხედულებებისა და ღირებულებების მიმართ ტოლერანტობა; • კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებების მიმღებლობა და პატივისცემა. პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.
დასაქმების სფეროები:
სადოქტორო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია -- ემპირიული კვლევები“ მოამზადებს პროფესიონალ მკვლევარ-პრაქტიკოსებს, რომელთაც შეეძლებათ კვლევითი, სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება აკადემიურ და სხვა სფეროებში. კურსდამთავრებულები, ასევე, შეიძლება დასაქმდნენ სახელწიფო, კვლევით და/ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ ინდივიდის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ემოციურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის პროექტებს.

პროგრამის სახელწოდება	**კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები** "Cultural personology, psychological anthropology and migration studies"
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და იმიგრაციის კვლევები" სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს: • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიის ან ანთროპოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში; • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სოციალური,საბუნებისმეტყველო,ჰუმანიტარული მეცნიერებების და მედიცინის რომელიმე დარგში/ქვედარგში; • დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: • დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია; • დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (ცოდნის დამადასტურებული სერთიფიკატის წარმოდგენა, რომელიც აღიარებული უნდა იყოს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ან ¬თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში); • დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს ან ჩააბარებს თსუ–ს მიერ ორგანიზებულ წერილობით გამოცდას ქართულ ენაში. • დოქტორანტობის კანდიდატს აქვს პოტენციური ხელმძღვანელის რეკომენდაცია/თანხმობა; • დოქტორანტობის კანდიდატს შემუშავებული აქვს კვლევითი თეზისი, რომელსაც წარადგენს სადოქტორო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან; • დოქტორანტობის კანდიდატი წარსდგება გასაუბრებაზე სადოქტორო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან.

	• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და ემიგრაციის კვლევები (ინტერდისციპლინური)“ მობილობის წესით ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით (იხ. დანართი 1).დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების დოქტორი PhD in Social Sciences
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ლალი სურმანიძე პროფესორი ვლადიმერ გამსახურდია
	პროგრამის კოორდინატორი: ----
	ტელ.: 593379770 577409005
	ელფოსტა: lali.surmanidze@tsu.ge vladimer.gamsakhurdia@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	

დამატებითი პროგრამა (minor)
სულ
პროგრამის მიზანი
სადოქტორო პროგრამა „კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და იმიგრაციის კვლევები“ ეყრდობა თსუ-ის მისიას და მიზნებს. სადოქტორო პროგრამის მიზნებია: • მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ჩამოყალიბება, რომლებსაც შეუძლიათ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისა და იმიგრაციის კვლევების სფეროებში ახალი მეცნიერული ცოდნის გენერირება; აქტუალური თეორიული საკითხების დამუშავება, მათ შორის, უმაღლესი ფსიქიკური პროცესების კულტურული საფუძვლების შესახებ არსებული თეორიული მიდგომების ინოვაციური განვითარება. • მაღალკვალიფიციურ მკვლევართა მომზადება, რომლებსაც მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით შეუძლიათ სინთეზური კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების გამოყენება/შექმნა, ახალი სამეცნიერო იდეებისა და პრაქტიკული ინოვაციების შემუშავება, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე დასკვნების გაკეთება ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებით; • პროფესიონალთა მომზადება მიგრაციული პროცესების სიღრმისეული კვლევისთვის, რომლებიც შეძლებენ იმიგრანტთა ადაპტაციური პროცესების თეორიულ მოდელირებასა და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეფექტური პოლიტიკის (policy) შემუშავებას; • უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური თანამდებობის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე, დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ინტერდისციპლინურად მოაზროვნე პედაგოგიური კადრების მომზადება, რომელთა საქმიანობა ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინური მეცნიერული აზროვნების განვითარებას საქართველოში.
სწავლის მეთოდები
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან, ასევე, კვლევითი კომპონენტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: • დისკუსია/დებატები • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება • შემთხვევის ანალიზი (Case study) • გონებრივი იერიში (Brain storming) • დემონსტრირების მეთოდი • ახსნა–განმარტებითი მეთოდი • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება • სხვა სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები - 1-ელ და მე-2 კვლევით პროექტებში.
შეფასების პროცედურები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთ- ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 31 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტისის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ
სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა
დამოუკიდებელი მუშაობით
დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ამზადებს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირ განხილვა/პრეზენტაციას. მასში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

პროექტი 1: საკვლევი პრობლემის დასმა, მისი ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში; სადისერტაციო შრომის მეთოდოლოგია და ზოგადი სტრუქტურა.
პროექტი 2: კვლევის ანალიზი, შედეგები და ინტერპრეტაცია. დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია:
ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც;
ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.
სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:
ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - 91-100 ქულა;
ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა;
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - 41-50 ქულა;
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.
არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

უნარები

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

„კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და იმიგრაციის კვლევები“ დოქტორანტი:

- შემოქმედებითად და პრობლემურად იაზრებს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისა და ემიგრაციის კვლევების გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს; უახლეს მიღწევებზე დამყარებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, კრიტიკულად აანალიზებს ამ მიმართულებით არსებულ თეორიულ მოდელებსა და კვლევით მონაცემებს.
- სისტემურად იაზრებს პროგრამის რელევანტურ სამეცნიერო სფეროებში არსებული ცოდნის ინტეგრირების შესაძლებლობებს ინტერდისციპლინურ სოციალურ-მეცნიერულ კვლევაში.
- სიღრმისეულად აანალიზებს სინთეზური კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების სპეციფიკას და შემოქმედებითად იაზრებს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა, კულტურული პერსონოლოგიისა და ემიგრაციის კვლევებში ფსიქოლოგიური

კომპონენტის ინვესტირების ინოვაციურ შესაძლებლობებს. • შემოქმედებითად განიხილავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს ინტერდისციპლინური სწავლების მიზნების გათვალისწინებით. • თეორიულ პარადიგმათა კრიტიკულად გააზრებისა და შემოქმედებითი ხედვის საფუძველზე, საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ქმნის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გამოიყენებს სინთეზურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიებს; ინტერდისციპლინური აზროვნებისა და კვლევის შედეგების საფუძველზე ახდენს ახალი ცოდნის გენერირებას. • ქმნის თანამედროვე საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამის ახალ, სპეციალიზებულ, ინტერდისციპლინური ორიენტაციის სალექციო კურსებს. • მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დისკუსიებში და გამოდის როგორც კოლეგების, ისე ფართო საზოგადოების წინაშე. • პასუხისმგებლობას იღებს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლასა და პროფესიულ განვითარებაზე, სხვათა პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე. • ხელმძღვანელობს და განახორციელებს განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს. • ეფექტურად თანამშრომლობს და წარმართავს პროფესიულ კომუნიკაციას კოლეგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ეთიკური ნორმების დაცვით; ახდენს პლაგიატის თვითმონიტორინგს და იცავს კვლევის ეთიკურ სტანდარტებს.
დასაქმების სფეროები
• ადამიანისა (სოციოჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ორიენტაციის) და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი ცენტრები/ინსტიტუტები; • უმაღლესი სასწავლებლები; • სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას და სტრატეგიის შემუშავებას (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.); • მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე/ფართო კონტექსტში წარმოჩენაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სტრუქტურები და ჯგუფები (მუზეუმები, საგამოფენო გალერეები). • იმიგრანტთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ყოფილ იმიგრანტთა ინტეგრაციაზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია Psychology
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოლოგია“ სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს: ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში; ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სოციალურ მეცნიერებებში; ✓ დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** ✓ დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია; ✓ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (ცოდნის დამადასტურებული სერთიფიკატის წარმოდგენა, რომელიც აღიარებული უნდა იყოს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ან თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში); ✓ დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს ან ჩააბარებს თსუ–ს მიერ ორგანიზებულ წერილობით გამოცდას ქართულ ენაში. ✓ დოქტორანტობის კანდიდატს აქვს პოტენციური ხელმძღვანელის რეკომენდაცია/თანხმობა; ✓ დოქტორანტობის კანდიდატს შემუშავებული აქვს კვლევითი თეზისი, რომელსაც წარადგენს სადოქტორო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან; ✓ დოქტორანტობის კანდიდატი წარსდგება გასაუბრებაზე სადოქტორო პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან . სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოლოგია“ მობილობის წესით ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

	სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით (იხ. დანართი 1). დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის დოქტორი. PhD in Psychology
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ გაგოშიძე, პროფესორი იამზე კუტალაძე, პროფესორი;
	პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი
	ტელ.: 599 56 21 96 577 57 59 72
	ელფოსტა: iamze.kutaladze@tsu.ge Tamar.gagoshidze@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგია“ ეყრდობა თსუ-ის მისიას და მიზნებს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგია“ მიზანია:

- მაღალკვალიფიციური პროფესიონალის მომზადება, რომელსაც შეუძლია ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირება, მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებით.
- შესაბამისი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური მკვლევრის მომზადება, რომელსაც შესწევს უნარი ჩაატაროს ფსიქოლოგიის სფეროში კვალიფიციური კვლევა, ახალი სამეცნიერო იდეებისა და პრაქტიკული ინოვაციების შემუშავება, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომის შექმნა;
- ფსიქოლოგიის დარგში აკადემიური სფეროს და დასაქმების ბაზრისათვის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის განვითარებას და სამეცნიერო სიახლეების დანერგვას სასწავლო პროცესში.

სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან, ასევე, კვლევითი კომპონენტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- დისკუსია/დებატები
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- დემონსტრირების მეთოდი
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- სხვა

სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები - 1-ელ და მე-2 კვლევით პროექტებში.

შეფასების პროცედურები

ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთ- ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი

წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 31 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტისის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ
სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა
დამოუკიდებელი მუშაობით
დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტი ამზადებს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირ განხილვა/პრეზენტაციას. მასში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

პროექტი 1: საკვლევი პრობლემის დასმა, მისი ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში; სადისერტაციო შრომის მეთოდოლოგია და ზოგადი სტრუქტურა.

პროექტი 2: კვლევის ანალიზი, შედეგები და ინტერპრეტაცია. დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია:

ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც;
ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.
სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:
ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - 91-100 ქულა;
ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა;
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - 41-50 ქულა;
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.
არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ფსიქოლოგიის დოქტორი:

- კრიტიკულად აფასებს და შემოქმედებითად განიხილავს თანამედროვე ფსიქოლოგიის გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, კრიტიკულად განიხილავს ფსიქოლოგიის სფეროს
- კონკრეტულ დარგში არსებულ გამოწვევებს, თეორიულ მოდელებსა და კვლევით მონაცემებს;

უნარები

- კრიტიკულად მსჯელობს ახალ/თანამედროვე კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებზე;
- კრიტიკულად განიხილავს ფსიქოლოგიის დარგის სწავლების თანამედროვე მეთოდებს.
- დამოუკიდებლად შეიმუშავებს ფსიქოლოგიის კონკრეტულ დარგში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინოვაციური კვლევის დიზაინს, შეარჩევს საკვლევი სფეროსთვის ადექვატურ კვლევით სტრატეგიებსა და მეთოდებს, კომპლექსურად აანალიზებს და იყენებს მიღებული შედეგებს, რომელთა საფუძველზეც ახდენს ახალი ცოდნის გენერირებას;
- შეარჩევს და ამზადებს ფსიქოლოგიის დარგში სასწავლო კურსებს და დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს;
- მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დისკუსიებში როგორც კოლეგების, ასევე, ფართო საზოგადოების წინაშე.
-

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

• პასუხისმგებლობას იღებს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლასა და პროფესიულ განვითარებაზე, სხვათა პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე; • ხელმძღვანელობს და წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს; • ეფექტურად თანამშრომლობს და წარმართავს პროფესიულ კომუნიკაციას კოლეგებთან და დარგით დაინტერესებულ სხვა პირებთან ეთიკური ნორმების დაცვით; ახდენს პლაგიატის თვითმონიტორინგს და იცავს კვლევის ეთიკურ სტრანდარტებს.
დასაქმების სფეროები
სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამედიცინო და სარეაბილიტაციო დაწესებულებები, სახელმწიფო ან კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები,

პროგრამის სახელწოდება	**ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)** Psychological Anthropology (interdisciplinary)
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სავალდებულოა უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში პროგრამის მიმღებ დარგობრივ კომისასთან.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორი PhD in Psychological Anthropology
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ლალი სურმანიძე პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი.
	პროგრამის კოორდინატორი: ----
	ტელ.: 593 37 94 40
	ელფოსტა: lali.surmanidze@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური თემატური და კვლევითი პრობლემების მცოდნე სპეციალისტთა ჩამოყალიბება, თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროს გამდიდრება ახალი მეცნიერული ცოდნით, განწყობის თეორიის შემდგომი განვითარება, უმაღლესი სკოლისთვის პედაგოგიური კადრის მომზადება.

სწავლის მეთოდები

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
დისკუსია/დებატები – სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, კრიტიკული აზროვნების (ალტერნატიული თვალსაზრისების გამოვლენა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების, შეფასების წარმოჩენა, ერთი თვალსაზრისის სხვადასხვა პოზიციიდან შეფასება, პრობლემის ანალიზისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოვლენა/შეფასება) განსავითარებლად, სტუდენტში კამათის კულტურის ჩამოსაყალიბებლად. პროფესორი წარმართავს დისკუსიას და პერიოდულად ერთვება მასში.
წიგნზე მუშაობა - თეორიული მასალების (სალექციო და საპრეზენტაციო) დამუშავება.
წერითი მუშაობა - წერითი კოლოკვიუმების შესრულება, ესსეს დაწერა, საპრეზენტაციო ტექსტის, აგრეთვე, კვლევითი დავალების წერილობითი ფორმით მომზადება.
შემთხვევის ანალიზი (Case study) - კროსკულტურულ კვლევებზე დაყრდნობით ლექციაზე კონკრეტული კულტურალური შემთხვევების განხილვა; მეთოდთა სწავლებისას კონკრეტული კვლევების განხილვის საფუძველზე მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების რეფლექსია.
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - პრობლემის დასმა და გამოყენება საწყის ეტაპად ახალი ცოდნის მიღებისა და კონტექსტუალიზაციისთვის.
გონებრივი იერიში (Brain storming) - სტუდენტებში შემოქმედებითი მიდგომის განსავითარებლად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული აზრების, იდეების გამოვლენის, გენერირებისა და ვერბალიზაციის ხელშეწყობა.
პროფესორის მიერ ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენება ხდება სასწავლო კურსის ამოცანების შესაბამისად.

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი

მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სისტემა:

summa cum laude - ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი);
magna cum laude - ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება);
Cum laude - კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება);
Bene - საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
Rite - დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს);
Insufficienter - არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს);
sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს).

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

- ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრების გამოცდილება, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროთა ინტეგრალური და პრობლემური ხედვა როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ პლანში;
- არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- ღრმა ინტეგრალური ცოდნა მის მიერ დამუშავებული თემის შესახებ;

- განწყობის თეორიის შუქზე კონკრეტულ საკითხთა ინტერპრეტაციისა და ახსნის გამოცდილება;
- საფუძვლიანი ცოდნა სინთეზური კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, აგრეთვე, მათი გამოყენების პრინციპების შესახებ.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
- ინოვაციური და, საზოგადოდ, მეცნიერული და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, წარმართვა და გაძღოლა, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატური კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და მოპოვებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია;
- სინთეზური კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება;
- ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვადი მეცნიერული პროდუქციის შექმნა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაინტეგრირებელი სალექციო კურსების შექმნა და გაძღოლა. შეძენილი ცოდნისა და უნარ ჩვევების გამოყენებას სხვადასხვა სოციოკულტურულ კონტექსტში.
- ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრება, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინური აზროვნების საფუძველზე თეორიული ცოდნის ზოგადმეცნიერულ კონტექსტში გააზრება და შესაბამისი პრობლემური საკითხების დასმა;
- განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა შემოქმედებითად, დროის მოთხოვნების შესაბამისად გააზრება და ინტერპრეტაცია; კომუნიკაციის უნარი: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დარგში ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და არგუმენტირებულად წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებში თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების გენერირების და განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში. კურსდამთავრებულის კომპეტენცია, აგრეთვე, მოიცავს:

- ისტორიის, ენის, პრაქტიკებისა და კონცეპტუალური კატეგორიების მქონე კულტურულ ჯგუფთა სპეციფიკური თავისებურებების დადგენას, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზს და ადეკვატური რეკომენდაციების შეთავაზებას;
- მონაწილეობას ანთროპოლოგიური სტრატეგიების დაგეგმვაში, სოციოკულტურული ცხოვრების განსხვავებულ სფეროთა დინამიკის კვლევებში;
- სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს უზრუნველყოფას რეალისტური და სიღრმისეული კონსულტაციებით. კურსდამთავრებულს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნება ზოგადი (ტრანსფერული) - აბსტრაქტული აზროვნების, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის - უნარები.
- პროფესიული ეთიკური ნორმების (პროფესიონალთა ურთიერთპატივისცემა და აღიარების უნარი, კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემებისწარმოდგენა, ყოველგვარი წარმოდგენა, ყოველგვარი ანგაჟირებულობის მიუღებლობა) მიდევნება;
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; კულტურათა ეფექტური დიალოგისთვის კულტურებსა და კონტექსტებს შორის განსხვავებების ცოდნა/გაცნობიერება და გათვალისწინება; სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენტურობის (იზომორფული ატრიბუცია, ქცევის ანალიზის უნარი, სხვათა მოლოდინების ცოდნა და საჭიროებისამებრ, გათვალისწინება და სხვ.) ფლობა; აგრესიული ეთნოცენტრიზმის მიუღებლობა; მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა; საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა. ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

დასაქმების სფეროები
• შედარებითი ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევებით დაინტერესებული ცენტრები (როგორც სამეცნიერო, ისე გამოყენებითი). • როგორც სოციო-ჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ადამიანის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; • კულტურისა და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო ორგანიზაციები ან მათი განყოფილებები; • უმაღლესი სასწავლებლები, სადაც არსებობს ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და კულტურის შემსწავლელი სპეციალობები, ან არსებობს მათზე მოთხოვნილება; • სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას; • სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები/ცენტრები (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები), რომელთა ინტერესი მოიცავს სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ანალიზს ფსიქოანთროპოლოგიური კვლევითი მონაცემების გამოყენებით (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.); • სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მოთხოვნილება ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევით მონაცემებზე და სხვა.

პროგრამის სახელწოდება	**პროფესიული განათლება** **Vocational Education**
საფეხური	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში; • მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში; • 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში - მათთვის, ვინც არ ფლობს მაგისტრის ხარისხს განათლების მიმართულებით; • ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე: რაც დასტურდება საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატით (TOEFL iBT 110; IELTS 7,0) ან უნივერსიტეტის გამოცდით • • სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა. • პროსპექტუსი /საკვლევი თემის განვითარების ხედვა წერილობითი ფორმით; • ინტერვიუ საკვლევი თემის ირგვლივ.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების დოქტორი PHD in Education
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ III კორპუსი, ჭავჭავაძის 11
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ირმა გრძელიძე -ასოცირებული პროფესორი პროგრამის კოორდინატორი: ტელ.: 577131553 ელფოსტა: irma.grdzelidze@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა „პროფესიული განათლება“ მიზნად ისახავს მკვლევრის მომზადებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე პროფესიული განათლების მოთხოვნებისა და გამოწვევებისთვის საპასუხოდ სამეცნიერო გადაწყვეტილებების შემუშავების გზით, რათა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების სექტორის განვითარებას.

პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება განმახორციელებელი უნივერსიტეტის მისიას და ხედვასა, რაც გულისხმობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, საზოგადოების ჩართულობას, ახალი ცოდნის შექმნასა და გადაცემას

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს განათლების სფეროს სპეციალისტი, მკვლევარი, რომელსაც შეეძლება:

- განათლების მეცნიერების სფეროს მეცნიერული ცოდნის საფუძველზე, გამოიკვლიოს პროფესიული განათლების სექტორის გამოწვევების და გაანალიზოს შესაბამისი საჭიროებები;
- განათლების მეცნიერებათა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე პროფესიული განათლების სფეროში დამოუკიდებლად გადაჭრას კომპლექსური პრობლემები;
- შექმნას განათლების მეცნიერების სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების ანალიზსა და სინთეზზე დაფუძნებული ინოვაციური სამეცნიერო პროდუქტი და ხელი შეუწყოს ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.
- ჩაერთოს აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში საერთაშორისო დონეზე პროფესიული განათლებისა და განათლების მეცნიერებების სფეროში;
- ეფექტურად მართოს სასწავლო პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესის კანონზომიერებების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე;

სწავლა-სწავლების პროცესის კანონზომიერებების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე ეფექტურა მართოს სწავლების პროცესი პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში.

სწავლის მეთოდები

ზეპირი მეთოდები - მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია;
წიგნზე მუშაობის მეთოდები - დამოუკიდებელი და ახსნა-განმარტებითი კითხვა;
პრაქტიკული მეთოდები - სამუშაო ჯგუფი, პროფესიული პრაქტიკა;
ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები;
კაზუსი;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; პროექტზე დაფუძნებული სწავლება; კეთებით სწავლება; წერითი მუშაობის მეთოდები; ელექტრონული სწავლება;
შეფასების პროცედურები
სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას: • ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; • ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის / ნაშრომის, შემოქმედებითი / საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის / ნაშრომის მიმართ. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სისტემა: summa cum laude - ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი); magna cum laude - ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება); Cum laude - კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება); Bene - საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; Rite - დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს); Insufficienter - არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს); sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს).

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:

1.განათლების მეცნიერების სფეროში უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე აგებული კომპლექსური პროფესიული ცოდნა; მათ შორის კვლევის მეთოდოლოგიის მიმართულებით სექტორში უახლესი მიღწევების შესახებ ცოდნა;

2.პედაგოგიურ მეცნიერებათა თეორიებისა და პროფესიული განათლების ცოდნა;

3.ზოგადი და შესაბამისი კონკრეტული დარგების დიდაქტიკა - სწავლის პრინციპები, მეთოდები, ტექნოლოგიები, შეფასების ფორმები - განათლებისა და პროფესიული განათლების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნა;

4.ქვეყნის პროფესიული განათლების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების ანალიზისა და შეფასების უნარი – ისტორიული პერსპექტივა და თანამედროვეობა.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

5. განათლების მეცნიერების სფეროში არსებული უახლესი სამეცნიერო აღმოჩენებისა თუ მიდგომების კრიტიკული ანალიზს, სინთეზირებასა და შეფასებას;
6. პროფესიული განათლების სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გაანალიზებას და მათ გადასაჭრელად კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებას, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
7. განათლების მეცნიერებათა სფეროში დაგროვილ სამეცნიერო ცოდნასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის შექმნასა და პროფესიონალური და ფართო საზოგადოებისთვის გადაცემას;
8. სწავლების თანამედროვე მიდგომების, მეთოდების/ტექნიკებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას პედაგოგიური საქმიანობის პროცესში, სტუდენტიზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების თვითრეფლექსიასა და მოდიფიკაციას;
9. ქვეყნის განათლებისა და პროფესიული განათლების პოლიტიკის პროფესიულ ანალიზსა და დაგეგმვაში მონაწილეობას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:

10. განათლებისა და პროფესიული განათლების სფეროში კვლევითი პროექტების ინიცირებისა და მათი დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
11. განათლებისა და პროფესიული განათლების სფეროში შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი.

დასაქმების სფეროები

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების დარგის ნებისმიერი ტიპის/კვლევით ან საგანმანათლებლო/სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებაში, წარმართოს საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროცესი ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიული განათლების სექტორში.